## ხელშეკრულება № 02/311214 (2015/07)
## სატელეფონო მომსახურებაზე

31 დეკემბერი 2014 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ შპს „ჯეონეთი“ (შემდგომში „ოპერატორი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ალექსანდრე ქევხიშვილის სახით, და მეორეს მხრივ სსიპ „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“, (შემდგომში „აბონენტი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ კუდავას სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

აბონენტი საჭიროების შემთხვევაში ავალებს, ოპერატორი კი ვალდებულებას იღებს გაუწიოს აბონენტს სატელეფონო მომსახურება (CPV კოდი: 64211200), შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე. აბონენტის სატელეფონო ნომერია: 2474245

ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 700.00 (შვიდასი ლარი და 00 თეთრი) ლარს დღგ-ის ჩათვლით. ყოველთვიური ლიმიტი 58.33 (ორმოცდათვრამეტი ლარი და ორმოც[illegible] თეთრი) ლარი დღგ-ის ჩათვლით.

### 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

#### 2.1. ოპერატორი ვალდებულია

2.1.1 აბონენტს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება;

2.1.2 გაუწიოს აბონენტს სატელეფონო მომსახურება დანართი 1-ში მითითებული ტარიფების შესაბამისად;

2.1.3 ათი დღით ადრე წერილობით შეატყობინოს აბონენტს მომსახურების ტარიფების ცვლილების შესახებ.

2.1.4 ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან, უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება 24 საათის განმავლობაში, ყოველ დღე, გარდა წინასწარ დაგეგმილი პროფილაქტიკური და აუცილებელი სარემონტო სამუშაოების შესრულებისა;

2.1.5 აწარმოოს აბონენტისადმი გაწეული მომსახურების აღრიცხვა და მიაწოდოს აბონენტს გაწეული მომსახურების ანგარიში ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე;

2.1.6 ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი აბონენტის მიერ განხორციელებული სატელეფონო საუბრების მართლზომიერებაზე.

2.1.7 დანართი №2-ით აბონენტის სატელეფონო ნომერზე დაწესებული ყოველთვიური ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გათიშოს აბონენტის სატელეფონო ნომერი.

2.1.8 აბონენტის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 2.4.2 პუნქტით განსაზღვრული წერილის მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში მოახდინოს დანართი №2-ით განსაზღვრული ლიმიტის შეცვლა.

#### 2.2. ოპერატორს აქვს უფლება

2.2.1 შეცვალოს მომსახურების ტარიფები;

2.2.2 შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება (შეუზღუდოს გამავალი ზარი) იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი დააგვიანებს მიწოდებული მომსახურების საფასურის გადახდას, რის შესახებაც ოპერატორი აბონენტს ატყობინებს 5 სამუშაო დღით ადრე. შეზღუდული მომსახურების აღდგენა ხორციელდება შეზღუდვის მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღის დასრულებამდე; მომსახურების შეზღუდვის პერიოდში აბონენტს ერიცხება სააბონენტო გადასახადი;

2.2.3 შეუწყვიტოს აბონენტს მომსახურების მიწოდება მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 60 კალენდარულ დღეში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში.

#### 2.3. აბონენტი ვალდებულია

2.3.1 ყოველთვიურად გადაიხადოს სატელეფონო ნომრის სააბონენტო გადასახადი 5.00 (ხუთი) ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით, ოპერატორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

2.3.2 დაიცვას ოპერატორის მიერ გამოყენებული ყველა ტექნიკური პროცედურა, რეკომენდაცია და მეთოდური მითითებები, რომლებსაც ოპერატორი წერილობით წარუდგენს აბონენტს;

2.3.3 ანგარიშისა და ანგარიშ-ფაქტურის მიღების დღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მიწოდებული მომსახურების საფასური;

2.3.4 აბონენტი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებული სატელეფონო საუბრების მართლზომიერებაზე;

2.3.5 მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

2.3.6 არ დაუშვას ოპერატორისგან მიღებული მომსახურების შემდგომი მიყიდვა/გადაცემა მესამე პირზე;

2.3.7 არ დაუშვას მიწოდებული მომსახურების ჩართვა ადგილობრივი, საერთაშორისო ფასიანი ტრაფიკის ტერმინაციის ან/და გადამისამართების სქემაში;

2.3.8 შეატყობინოს ოპერატორს სპეციალიზებული სატელეფონო სადგურის (PBX, Asterisk და სხვა) არსებობის შესახებ და მიიღოს ზომები მისი დაცვისათვის, რათა არ მოხდეს მისი არასანქცირებული გამოყენება კომპანიის საზიანოდ.

## 2.4. აბონენტს აქვს უფლება

2.4.1 მოსთხოვოს ოპერტორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

2.4.2 წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რომლის ოპერატორისთვის გადაცემა მოხდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მოითხოვოს დანართი №2-ით განსაზღვრული ლიმიტის შეცვლა; აბონენტის მხრიდან გამოიყოფა ელ.ფოსტა – **otar.miqadze@manuscript.ac.ge** ; ხოლო ოპერატორის მხრიდან ელ. ფოსტის მიღება მოხდება შემდეგ მისამართზე – limit@gphone.ge . წერილობითი შეტყობინების მიღებად ჩაითვლება ოპერატორის მიერ აბონენტის წერილის ელ. ფოსტით მიღების დადასტურება.

2.4.3 ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს;

2.4.4 წარუდგინოს ოპერატორს წერილობითი პრეტენზიები წარდგენილ გადასახადებთან დაკავშირებით შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში; აბონენტის წერილობითი პრეტენზიის განხილვა და გადაწყვეტა ხორციელდება "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ " საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად პრეტენზიის რეგისტრაციიდან 15 კალენდარული დღის ვადაში; ოპერატორის მხრიდან აბონენტის პრეტენზია/საჩივარზე წერილობითი უარის შემთხვევაში აბონენტი უფლებამოსილია წერილობითი უარი გაასაჩივროს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან/და სასამართლოში;

2.4.5 ოპერატორის მიერ მომსახურების ტარიფების შეცვლის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც ოპერატორს აცნობოს ტარიფის შეცვლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

## 3. ხელშეკრულების ვადები და შეწყვეტის პირობები

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 1 იანვრიდან;

3.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

3.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება ერთი წლით თუ 10 დღით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია, თუ შეწყვეტის ინიციატორი მხარე 30 დღით ადრე წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

3.5 ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას.

## 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული აქტი და სხვა

პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას;

4.2 მხარეები ვალდებულნი არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

## 5. დავის გადაწყვეტა

ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დავების, ურთიერთპრეტენზიებისა და უთანხმოებების გადაწყვეტა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ზოგადი დებულებები

6.1 ხელშეკრულებაში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გაფორმების გზით;

6.2 ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი ძალა. ამ ხელშეკრულების ერთი ეგზეპლარი ინახება ოპერატორთან, მეორე – აბონენტთან.

## 7. მხარეთა რეკვიზიტები

ოპერატორი:
შპს. "ჯეონეთი"
ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №41,
ტელ: 247 00 00 ფაქსი: 247 00 01
ბანკის კოდი BAGAGE22,
ა/ა GE43BG0000000118402601
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
E-mail: info@geonet.ge
http://www.geonet.ge

აბონენტი:
სსიპ „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი"
ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის 1/3
ს/კ 211368474
E-mail: otar.miqadze@manuscript.ac.ge
www.manuscript.ge

_______________ ა. ქევხიშვილი

_______________ ბ. კუდავა

დანართი 1
#02/311214 ხელშეკრულებისა

ფასები მოცემულია ლარში, დღგ-ს ჩათვლით
დროის წამობრივი აღრიცხვა

| Area | Price/Min |
|---|---|
| Afghanistan | 0.70 |
| Afghanistan cellular | 0.70 |
| Albania | 0.30 |
| Albania cellular | 0.60 |
| Algeria | 0.50 |
| Algeria cellular | 0.75 |
| Andorra | 0.70 |
| Andorra cellular | 0.70 |
| Angola | 0.70 |
| Angola cellular | 0.70 |
| Anguilla | 0.70 |
| Anguilla cellular | 0.70 |
| Argentina | 0.16 |
| Argentina cellular | 0.40 |
| Armenia | 0.35 |
| Armenia cellular | 0.50 |
| Australia | 0.16 |
| Australia cellular | 0.50 |
| Austria | 0.09 |
| Austria cellular | 0.40 |
| Azerbaijan | 0.45 |
| Azerbaijan cellular | 0.65 |
| Bangladesh | 0.35 |
| Barbados | 0.75 |
| Belarus | 0.70 |
| Belarus cellular | 0.70 |
| Belgium | 0.09 |
| Belgium cellular | 0.70 |
| Belize | 0.60 |
| Benin | 0.55 |
| Bermuda | 0.55 |
| Bolivia | 0.40 |
| Bolivia cellular | 0.40 |
| Bosnia & Herzegovina | 0.40 |
| Bosnia & Herzegovina cellular | 0.65 |
| Brazil | 0.16 |
| Brazil cellular | 0.50 |
| Bulgaria | 0.09 |
| Bulgaria cellular | 0.40 |
| Cambodia | 0.35 |
| Cambodia cellular | 0.35 |
| Cameroon | 0.35 |
| Cameroon cellular | 0.50 |
| Canada | 0.08 |
| Cayman Islands | 0.50 |
| Central African Republic | 0.75 |
| Chad | 0.70 |
| Chad cellular | 0.70 |
| Chile | 0.18 |
| Chile cellular | 0.18 |
| China | 0.10 |
| China cellular | 0.10 |
| Colombia | 0.25 |
| Colombia cellular | 0.40 |
| Costa Rica | 0.70 |

| Area | Price/Min |
|---|---|
| Cyprus cellular | 0.20 |
| Czech Republic | 0.09 |
| Czech Republic cellular | 0.40 |
| Denmark | 0.09 |
| Denmark cellular | 0.30 |
| Egypt | 0.30 |
| Egypt cellular | 0.30 |
| El Salvador | 0.70 |
| Estonia | 0.10 |
| Estonia cellular | 0.70 |
| Ethiopia | 0.70 |
| Fiji | 0.70 |
| Finland | 0.18 |
| Finland cellular | 0.40 |
| France | 0.09 |
| France cellular | 0.30 |
| Gabon | 0.70 |
| Gabon cellular | 0.70 |
| Gambia | 0.90 |
| **Georgia** | **0.06** |
| **Georgia Beeline** | **0.11** |
| **Georgia Geocell** | **0.11** |
| **Georgia Magticom** | **0.11** |
| **Georgia MagtiFix** | **0.04** |
| **Georgia S1 (Silknet Mobile)** | **0.17** |
| **Georgia Tbilisi** | **0.04** |
| Germany | 0.09 |
| Germany cellular | 0.30 |
| Ghana | 0.70 |
| Gibraltar | 0.70 |
| Greece | 0.10 |
| Greece cellular | 0.30 |
| Hong Kong | 0.18 |
| Hong Kong cellular | 0.18 |
| Hungary | 0.10 |
| Hungary cellular | 0.40 |
| Iceland | 0.16 |
| Iceland cellular | 0.50 |
| India | 0.16 |
| India cellular | 0.16 |
| Indonesia | 0.18 |
| Indonesia cellular | 0.18 |
| Iran | 0.30 |
| Iran cellular | 0.30 |
| Iraq | 0.45 |
| Iraq cellular | 0.45 |
| Ireland | 0.10 |
| Ireland cellular | 0.40 |
| Israel | 0.20 |
| Israel cellular | 0.20 |
| Italy | 0.09 |
| Italy cellular | 0.70 |
| Italy cellular TIM | 0.30 |
| Italy cellular VODAFONE | 0.30 |
| Italy cellular WIND | 0.30 |

| | |
|---|---|
| Croatia | 0.16 |
| Croatia cellular | 0.50 |
| Cuba | 2.25 |
| Cyprus | 0.20 |
| Jordan cellular | 0.40 |
| Kazachstan | 0.30 |
| Kazachstan cellular | 0.50 |
| Korea NorTh | 1.50 |
| Korea South | 0.30 |
| Kyrgyzstan | 0.40 |
| Latvia | 0.16 |
| Latvia cellular | 0.45 |
| Lebanon | 0.70 |
| Liberia | 0.70 |
| Libya | 0.75 |
| Lithuania | 0.16 |
| Lithuania cellular | 0.40 |
| Luxembourg cellular | 0.60 |
| Macedonia | 0.50 |
| Macedonia cellular | 0.70 |
| Malaizia | 0.18 |
| Mexico | 0.50 |
| Moldova | 0.40 |
| Moldova cellular | 0.55 |
| Morocco | 0.60 |
| Morocco cellular | 0.70 |
| Netherlands | 0.09 |
| Netherlands cellular | 0.40 |
| New Zealand | 0.20 |
| New Zealand cellular | 0.70 |
| Norway | 0.16 |
| Norway cellular | 0.50 |
| Peru | 0.55 |
| Peru cellular | 0.75 |
| Philippines | 0.40 |
| Philippines cellular | 0.55 |
| Poland | 0.10 |
| Poland cellular | 0.40 |
| Portugal | 0.16 |
| Portugal cellular | 0.45 |
| Romania | 0.16 |
| Romania cellular | 0.45 |
| Russia | 0.15 |
| Russia cellular | 0.35 |
| Russia Moscow | 0.08 |
| Russia St. Petersburg | 0.10 |
| Saudi Arabia | 0.70 |
| Senegal | 0.70 |
| Serbia | 0.30 |

| | |
|---|---|
| Jamaica | 0.70 |
| Japan | 0.16 |
| Japan cellular | 0.40 |
| Jordan | 0.30 |
| Serbia cellular | 0.55 |
| Singapore | 0.18 |
| Singapore cellular | 0.18 |
| Slovakia | 0.16 |
| Slovakia cellular | 0.40 |
| Slovenia | 0.16 |
| Slovenia cellular | 0.40 |
| Slovenia cellular IPKO | 0.90 |
| Somalia | 1.20 |
| South Africa | 0.45 |
| Spain | 0.09 |
| Spain cellular | 0.40 |
| Sweden | 0.09 |
| Sweden cellular | 0.30 |
| Switzerland | 0.09 |
| Switzerland cellular ORANGE | 0.30 |
| Switzerland cellular other | 0.90 |
| Switzerland cellular SUNRISE | 0.30 |
| Switzerland cellular SWISSCOM | 0.30 |
| Syria | 0.50 |
| Taiwan | 0.25 |
| Taiwan cellular | 0.25 |
| Tajikistan | 0.35 |
| Tajikistan cellular | 0.35 |
| Thailand | 0.14 |
| Thailand cellular | 0.14 |
| Turkey | 0.11 |
| Turkey cellular | 0.40 |
| Turkey cellular AVEA | 0.35 |
| Turkey cellular TURKCELL | 0.35 |
| Turkey cellular VODAFONE | 0.35 |
| Turkmenistan | 0.35 |
| UK | 0.09 |
| UK cellular | 0.70 |
| Ukraine | 0.30 |
| Ukraine cellular | 0.50 |
| United Arab Emirates | 0.50 |
| United Arab Emirates cellular | 0.50 |
| Uruguay | 0.55 |
| USA | 0.08 |
| Uzbekistan | 0.30 |
| Venezuela | 0.40 |
| Vietnam | 0.30 |
| Zambia | 0.50 |
| Zimbabwe | 1.00 |

| საინფორმაციო მომსახურება | ზარის ღ-ბა |
|---|---|
| Georgia 118 08 | 1.28 |
| Georgia 118 09 | 1.30 |
| Georgia Call Centre | 3.00 |

ა. ჭყვხიშვილი

მ. ქუქავა

დანართი №2

| სატელეფონო ნომერი | ყოველთვიური ლიმიტი |
|---|---|
| 247 42 45 | 58.33 ლარი დღგ-ის ჩათვლით |

შ.პ.ს. "ჯეონეთი"

დირექტორი:

_______________ ა. ქევხიშვილი

სსიპ „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“

დირექტორი:

_______________ ზ. კუდავა